

## განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

### საქართველოს კანონზე

#### ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საპენსიო განაკვეთები ვერ პასუხობს ასაკით პენსიონერთა მიმართ სახელმწიფოს სამართლიანი დამოკიდებულების პრინციპებსა და ვერ უზრუნველყოფს მათ დამსახურების მიხედვით სოციალური უზრუნველყოფის გარანტიებით, მათ შორის სახელმწიფო პენსიის ოდენობით. კანონპროექტის შემუშავების ერთერთ მიზეზს ასევე წარმოადგენს ასაკით პენსიონერთა მიმართ კანონის დისკრიმინაციული ხასიათი, რაც გამოიხატება კანონის შეუსაბამობაში ასაკით პენსიის არსთან და პრინციპთან, განესაზღვროს პენსიონერს პენსია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით.

დღეს მოქმედი კანონით დაწესებულია საპენსიო ასაკის მაღალი ზღვარი, რაც გაუმართლებელია და წარმოადგენს სახელმწიფოს არაპუმანურ დამოკიდებულებას ასაკოვანი ადამიანების მიმართ.

##### ა.ბ. კანონპროექტის მიზანი

- პენსიის დანიშვნა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით;
- პენსიონერთათვის სოციალური უსაფრთხოების გარანტიების შექმნა;
- კანონის დისკრიმინაციული ხასიათის აღმოფხვრა.
- საპენსიო ასაკის დაწვევა.

##### ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი:

1. მე-5 მუხლში შემოთავაზებული ცვლილებით საპენსიო ასაკი განისაზღვრება 60 წლით. არნიშნული ცვლილება ეხება ყველა მამაკაცს, რომელიც მიაღწევს 60 წელს და ამ ცვლილების შესაბამისად ამ ასაკის მიღწევა ხდება საფუძველი პენსიის დანიშვნის მოთხოვნისა.
2. მე-6 მუხლში შემოთავაზებული ცვლილებით ქალთა მიმართ საპენსიო ასაკი განისაზღვრება 55 წლით.
3. მე-9 პრიმა მუხლის დამატება წარმოადგენს არსებითი ხასიათის სიახლეს კანონში და განსაზღვრავს ასაკით პენსიონერთა მიმართ პენსიის ოდენობის გაანგარიშების წესს, რაც ეფუძნება პენსიონერის სტაჟისა და დამსახურების გათვალისწინებით პენსიის გაანგარიშების პრინციპს. ამ დამატების მიხედვით სტაჟი და დამსახურება წარმოადგენს დანამატის საფუძველს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პენსიის მინიმალურ ოდენობაზე.

#### ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები;

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 250.000.000 (ორასორმოცდაათი) მილიონი ლარის ოდენობით თანხის გამოყოფას.

##### ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი უარყოფითად არ აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

##### ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი გაზრდის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. 250 000 000 (ორასორმოცდაათი) მილიონი ლარის ოდენობით.

**ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს დამატებით სახელმწიფო ასიგნებებს.

**ბ.ე. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება ამ კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება ერთის მხრივ ზრდის სახელმწიფოს ვალდებულებას ასაკით პენსიონერთა მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ აუმჯობესებს ასაკით პენსიონერთა ფინანსურ და შესაბამისად სოციალურ მდგომარეობას.

**ბ.ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი და შესაბამისად არ ძტვალისწინებს მისი განსაზღვრის წესს.

**გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა. კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან.**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქრთველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქრთველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

**გ.გ. კანონპროექტის მიმართება საქრთველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება და არ არრვევს საქრთველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**ა. კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**და. სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ და დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობს შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა პ/გ „ხალხის პარტიასთან“ შექმნილი საინიციატივო ჯგუფი.

**დ.ბ. კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ. კანონპროექტის ავტორი:**

პ/გ „ხალხის პარტია“.